





თბილისის პრესა

საქართველო-სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის გაუქმების ბორჩალოს მახრამი და ამ ორ რესპუბლიკათა დამოკიდებულების შესახებ გაზეთი „ერთობა“ სწერს.

პირველი ნაბიჯი ურთიერთ შორის შინაური საშუალებებით მოწესრიგებისა, უკვე თითქმის დასრულებულია. მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტილი იქნა გაუქმდეს ორივე ქვეყნის მახრამი ნეიტრალური ზონა, რომელიც შექმნილი იყო ინგლისის შუამავლობით. ეს ზონა, თავის თავად შეიქნა ბუდე ბორჩალოს და არეგ-დარევის მიეღი ბორჩალოს მახრამისათვის.

იგი წარმოშვა ომმა, მეზობელთა შორის სისხლის კვლის გავლენამ, რომლის მიზანი ინგლისის დახმარება და ჩარევის იმედი იყო. ეს იმედი მოიმედებეს არ გაუმართლდათ. ინგლისმა ვერ მისცა მათ ის, რასაც მოელოდნენ.

პირიქით ინგლისმა შექმნა მხოლოდ ის მუწუკი ორივე ერის, ნეიტრალური ზონა, რომელიც დღეს მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ყველას უთხრას ამ ომის უაზრობა და ამ ორ მეზობელ ერს სახელი გაუტეხოს, შეურთებლობა დასწამოს. დღეს ინგლისის ძალებმა უკვე გაანთავისუფლეს ჩვენი ქვეყანა ჩარევისა და გავლენისაგან. და ეს ზონაც მათი გავლენის შედეგი უნდა გაუქმდეს. გარდა სინარულისა არაფერს გამოიწვევს ეს შეთანხმება საქართველოს დემოკრატიაში.

ეს იქნება პირველი რეალური ნაბიჯი მეზობელთა დაახლოვების და სამშუბარო ამის შედეგების ლიკვიდაციის, მისი ნაშთების სრული გაუქმების.

ჩვენმა მთავრობამ უკვე მისცა დასტური მოლაპარაკების შედეგებზე ხელის მოწერისა საფარო საქმეთა სამინისტროს. და ახლა რიგი სომხეთზეა. მათი სურვილი სეწყვეტს და ამოლოებს ამ პირველ ნაბიჯს ან უარყოფს და სპობს მას.

ჩვენ იმედი გვაქვს სომხის მშრომელთა ისეთივე გრძობები ასულდგმულებს, როგორც საქართველოსას, და რომ სომხეთის მთავრობა ამ გრძობებს ანგარიშს გაუწევს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ შეთანხმებას არ ვაძლევთ საბოლოო საზღვრების გარკვევის მნიშვნელობას. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შემუშავებული და ორივე მხარისგან მიღებული ფორმულა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ეს კითხვა მოვაწესრიგოთ ან შეთანხმებით, ან არბიტრაჟით.

ასეთ პირობებში ეს გაუქმება ნეიტრალური ზონის იოლი გადასაქრელი საგანია, და მისი დაყოვნება უზრალო დროს დაკარგვია.

დიაპეუზი

(საქართველოს დეპეუზია საფრანგეთი).

საფრანგეთი და ამერიკა.

პარიზში მყოფმა ამერიკის ელჩმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკა კმაყოფილია საფრანგეთის პოლიტიკით პოლონეთის საკითხში. ამერიკის წარმომადგენლობა აღნიშნავს: ვილსონმა ხალხთა ლიგის მე-3 პარაგრაფში სთქვა, რომ რუსეთის საკითხი თვით რუსეთის ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამერიკის მას შემდეგ თავი აზრი არ შეუტყლია.

ევროპისათვის აუცილებელ საკითხებს წარმოადგენს რუსეთის აღდგენა. აღდგენილ რუსეთთან მეგობრობა, როგორც სფერანგეთს, ისე შეერთებულ შტატებისათვის იქნება თავდები მშვიდობისა.

ამერიკელი სოციალისტები და ბოლშევიკები.

ვაშინგტონი აგვისტოს 20. ადგილობრივ პრესის ცნობით სოციალისტურ პარტიის კონგრესის დადგენილების თანახმად პარტიის წევრთა შორის მოახდინეს რეფერენდუმი რუსეთის ტიპის პროლეტარიატის დიკტატურასთან დამოკიდებულების გამოსარკვევად. რეფერენდუმით გამოირკვა რომ ამერიკის სოციალისტური პარტია თავის ზონას გამოსთქვამს სოციალიზმისათვის იმ ხასიათის ბრძოლის გამო, რომელსაც ბოლშევიკები ეწვევიან.

ქართველები პოლონეთში.

ვარშავა. აგვისტოს 23. ეწყობა ქართველთა გროვული საბჭო კურულაშვილის მეთაურობით. საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს ქართველთა საქართველოში გამგზავრებისა და გაქვირებულთადმი დახმარების საკითხს. ვარშავის კურირების ცნობით ამასთანავე საბჭო ცდილობს მქიდრო კავშირი გააბას პოლონეთსა და საქართველოს შორის. განზრახულია გამოსცენ გაზეთი პოლონურ და ქართულ ენაზე. იმავე გაზეთის ცნობით ვარშავაში გახსნილა პოლონელთა და ქართველთა კლუბი. განზრახულია ამასთანავე ქართველთა და პოლონეთა ბანკის ვარშავაში დაარსება. პოლონეთის პრესა მხურვალე თანაგრძობით ხვდება საქართველოს საკითხებს.

ვანდერველდეს სიტყვა.

პარიზი. აგვისტოს 24. „ტანი“ წერილს უძღვნის მეორე ინტერნაციონალის შენევის კონგრესს და მიყავს ვანდერველდეს სიტყვა მოსკოვისა და ლონდონის შესახებ. მოსკოვით, უთქვამს ორატორს, იუმცირეობაა, რომელიც ფიქრობს, ძალდატანების ხასიათის ზომების მიღებით სოციალიზმის დამყარებას საარაკოდ ჩამორჩენილ მხარეში. ლონდონი წარმოადგენს დარაზმულ პროლეტარიატის, რომელმაც გამოიჩინა შეგნება და რკინის დისციპლინა და რომელსაც სწამს, რომ ამ გზით მიაღწევს, სოციალიზმს. ერთი მხრივ არის ძალმომრეობის რევოლიუცია და მეორე მხრივ რევოლიუცია მეთოდური თანდათანობით ძალა უფლების ხელში ჩავდებისა

ლიონის სმოგაჰი.

პოლონეთის მიმართა,

პოლონეთის მთავრობამ ერთა ლიგის მდივანს ასეთი შინაარსის დეპეუზა გაუგზავნა: პოლონეთის ჯარის უკან დახვევის დროს ლიტვის მთავრობა შეუთანხდა მოსკოვის მთავრობას, რომლის ძალითაც საბჭოთა რუსეთის ჯარს ნება ეძლეოდა ესარგებლა ლიტვის ტერიტორიით როგორც ჯარის გადაყვანასა ისე, სამხედრო ბაზის მოწყობაში. ეს ფაქტი მაჩვენებელი იმისა, რომ ლიტვამ რუსეთ-პოლონეთის ომში დაარღვია ნეიტრალიტეტი. როდესაც პოლონეთი იძულებულ შეიქმნა, თავის ჯარები გამოკვანა იმ ტერიტორიიდან, რომელიც ეტნოგრაფიულად პოლონეთს ეკუთვნის, ეს ტერორია დაიკავა ლიტვის მთავრობამ, რომლის დროსაც პოლონეთის ერთგულ მცხოვრებთა წინააღმდეგ ექსცესები მოხდა. შემდეგ, როდესაც პოლონეთის ჯარმა მტერი უკუაქცია და ისევ დაიკავა სუვალი, ამ დროს ლი

ტვის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას მიმართა ნოტიო, სადაც ის არ სწობდა ძველ საზღვრებს. პოლონეთის მთავრობამ მეგობრული ნოტიო უპასუხა და მოითხოვა, რომ ლიტვის ჯარისათვის ეჩვენებიათ საზღვარი, ხოლო სადაო საკითხების გადასაწყვეტად კი გამართულიყო მოლაპარაკება. პოლონეთის ჯარი ცდილობდა სისხლის დერის თავიდან აცილებას (გამოტოვებული) პოლონეთის მთავრობას უნდოდა ყოველი უთანხმოება მშვიდობიანი გზით გადაეჭრა, მაგრამ სექტემბრის არსენში მდგომ პოლონეთის ცხენოსან ჯარს შემოუტია ლიტვის ჯარმა და ცხენოსან-ჯარი იძულებული გადა დეცალმ ეს ადგილი. მოკლეს 4 კაცი ამის შემდეგ ლიტვის ჯარმა სუვალი დაიკავა და ავგუსტოვისკან გამოემართა, ომის წინასწარ გამოუცხადებლად. გამოირკვა, რომ ბალშევიკთა ჯარები ლიტვის ჯარებთან შეთანხმებით მოქმედებს. პოლონეთის მთავრობას იმის უტყუარი ცნობები აქვს, ბალშევიკთა სამხედრო ძალები გროვდება ლიტვის ტერიტორიაზე აგრესიული. მოქმედება პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ მომხდარი ფაქტია. ამიერიდან ცხადია, რომ ლიტვის ჯარს კავშირი აქვს წითელ არმიასთან და ლიტვის მთავრობა საბჭოთა მთავრობის იარაღად ხდება (გამოტოვებ). ვინაიდან პოლონეთის და ლიტვის ხალხს შორის აუკუნოების განმავლობაში მეგობრული განწყობილება არ დარღვეულა და ამიტომაც თუ ჩვენ იარაღს მივმართავთ პოლონეთის ტერიტორიის განთავისუფლებლად, ამას ჩავიდენტ მხოლოდ იძულებით. პოლონეთის მთავრობამ მიიღო ზომები საომარი მოქმედების თავიდან ასაცილებლად. მარამ რამდენიმე დღის შემდეგ იძულებული გახდება ლიტვას ომი გამოუცხადოს თუ კი ლიტვის ჯარი არ დასცლის პოლონეთის ტერიტორიას ვინაიდან ლიტვაში ბალშევიკთა ჯარების დაგროვება საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ პოლონეთის მთავრობა ახალ ოპერაციების დაწყების პასუხისმგებლობისაგან ითავისუფლებს თავს. (გამოტოვებულია)

ყირიმში

კონსტანტინოპოლი. „უნიონი“ სააგენტო სეფასტოპოლიდან იუწყება: აზოვისა და ყუბანის ფრონტზე ვრანგელის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა ტამანის ნახევარ კუნძულზე ალექსანდროვსკის მიმართულებით ბრძოლა ვითარდება ვრანგელის ჯარი შეტევას აწარმოებს ამ მიმართულებით და ტყვეები მოყავს.

უკრაინის შესახებ

ვენა. 23 აგვისტო. „გერ აბენდი“ იუწყება: ანტანტის წრეებში კვლავ დაისვა საკითხი უკრაინის დამოუკიდებლობის ფაქტიურ ცნობის შესახებ.

ვრანგელის ჯარი

ბერლინი. 20 აგვისტო. აქ მიღებული „კრასნაია გაზეთა“ იუწყება: ვრანგელს 70,000 ჯარის კაცი ყავს მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარები აქ მლიერ მცირე რიცხვს შეადგენს. თანახმად იმავე ცნობისა, პოლონეთის მთავრობას, გენერალ ბრედოვის ყოფილ ლაშქრის ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებიც პოლონეთში დააკავეს, ვრანგელის ჯარში გაუზზენია.

რომი. 24 აგვისტო. ჯიოლიკომ პალატაში გამოსვლისას იტალიის მსხვილი სეპარო სამრეწველო წრე-

ები და ბანკრები გაკიცხა. „ეურნალის იტალიის სიტუაციის შედეგად განუცხადებია. მიიღო რამხედველობაში ქვეყნის და პარლიამენტის ხმა, რომელიც ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენასა და სიმდიდრის კონცენტრაციის ხელის შეშლას იზხოვდა, მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიულა ბრძოლის წარმოება სპეკულიაციის წინააღმდეგ. კაპიტალისტებმა გადასწყვიტეს, სთქვა ჯიოლიტმა მთავრობას პრესტიჟის დასაცემად მის წინააღმდეგ კომპანიის წარმოება. სახელმწიფოში ხელოვნური ეკონომიური დაბრკოლებანი შექმნეს, დასცეს ფულის კურსი და ხოლოვნულ გაფიცვების მოწყობისაც შეუდგენ. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ისეთ მოქმედების გამოსარკვევად მთავრობამ აირჩია საგანგებო კომისია და იგი განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვა.

სოხიალისტური დელეგაცია.

შეხვედრის ცერემონიალი,

ს.დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა დაამტკიცა ევროპის დელეგაციის შეხვედრის ასეთი ცერემონიალი: დელეგაციას სექტემბრის 14 ბათომში შეხვდება ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ს. ჯიბლიძე, მთავრობის, ბათომის პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი და ბათონისივე ქალაქის თავი. იმ დღეს დელეგაცია დარჩება ბათომს, ქალაქისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დასათვლიერებლათ. საღამოს დელეგაცია საგანგებო მატარებლით გამოვა თბილისისაკენ, სადაც მეორე დღეს ჩამოვა. საღამურზე დელეგაციას შეხვდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები ნ. უორდანიას მეთაურობით, ამ ორგანიზაციათა შორის იქნება წარმომადგენლები მთავრობის ს. დ. ცენტ. კომ. დამფ. კრების ს.დ. ფრაქციის ბრეზიდენტი თფილისის ერობის პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ქალაქის სმხალხო გვარდიის ერობათა და ქალაქთა კავშირების ქალთა ს. დ. ორგანიზაციის დელეგაცია. წამოვა რუსთაველის მოედნით მისთვის საგანგებო მიჩენილ ბინაზე. საღამოს ხუთ საათზე ნაძალადევი პლენაროვის სახელობის მუშათა სასახლეში მოხდება მუშათა საბჭოს კრება პროფესიონალურ კავშირისა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტთა მონაწილეობით. კრების გათავეების შემდეგ თავისუფლებას მოედანზე გაიმართება მიტინგი შეხვედრის დეტალები დამატებით გამოქვეყნდება.

კომისიის განცხადება.

ევროპის სოც. დელეგაციის შეხვედრა მომწყობი კომისია აცხადებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დაუყარებლივ აცნობენ ერთობის ქუჩაზე თუ ვის და როგორია სახით სურს შეხედნაში მონაწილეობის მიღება.

თფილისის ერობაში.

თფილისის მახრის ერობის ხმონათა მერვე ყრილობამ დ. ონიანვილის წინადადება თანახმად დაავალა ერობის გამგეობას, რომ თავის მხრივ ზომები მიიღოს ევროპის დელეგაციის შეხვედრის მოსაწყობათ.



თფილისის ქალაქის გამგეობაში.  
ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს სექტემბრის 15 საღამოს სადღესასწაულო სხდომა ვერძის დედეგაციის საპატრივკემულად (ხლო-მაზე მოიწვივენ დედეგაციას, მთავრობის დამ. კრ. და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. განზრახულია ამ დღეს ქალაქში გამოკიდონ დროშები და სახლები ვარდ-ყვავილებით მორთონ.

**ახალი ამბავი.**

— ვალიუტის სპეკულიანტებ ის შეზღუდვა. ოლქის მთავრობა ეს მეორედ ღეუღდა ბათუმში ვალიუტის სასპეკულიანტო კანტორების დაკეტვის, ვალიუტის კერძო ჩაჩულ ვაჭრობის აკრძალვას, რამაც ნაყოფი უკვე გამოიღო: უცხო ვალიუტის ფასი თბილისში დაბალეში მიღებულ ზომებით შემდეგ სისტემატიურად ეცემა.

— ბათუმის ციხე სიმაგრეთა შტაბის უფროსად დაინიშნა ყოფილი სამხედრო ატაშე ბათუმში გენერალი ფურცელაძე.

— ჯარების სარდალი და საგანგებო კომისარის თანაშემწე გენერალი მდივანი ამ დღეებში მიემგზავრება სამსახურის საქმეთა გამო.

— განათლების სამინისტროს რწმუნებული ბათუმისა და მისი ოლქში კალე ქავთარაძე სექტემბრის 8-ს განათლების საქმეთა საკითხების მოსაგვარებლად ესაუბრა საგანგებო კომისარს.

— ბათუმის რკინის გზის სადგურის შეკეთება, ეს რამდენიმე დღეა შეუდგენ ბათუმის რკინის გზის სადგურის შეკეთებას.

— საბინაო კომისია საბაშვილის სახლიდან გადავიდა მარინეს პროსპექტზე № 13 „ახო ბათუმა“ ის რედაქციის გვერდით.

— ბათუმში ჩამოვდენ დამსახურებული მსახიობნი მარო მდივანი ვ. ურუშაძე დნელაძე და სხვანი რომლებიც ზამთრის სეზონში ბათუმში იმუშავენ.

— გაზეთ „ბათუმის ფურცლის“, რედაქციის კოლეგიის კრება დანიშნულია კვირას სექტემბრის 12-ს საბინაო კომისიის სახლში, მარინეს პროსპექტი № 13 დილის 9 საათიდან წევრებს ვთხოვთ მობრძანდნენ.

— ამ მოკლე ხანში კონსტანტინოპოლში გაიხსნება ცენტრო-ბანკის განყოფილება. ამ მიზნით სექტემბრის შუა რიცხვებში კონსტანტინოპოლს მიემგზავრებიან ცენტრო-ბანკის რწმუნებულნი ვ. სურგულაძე და ა. ვრიგოლია.

— ინტერნაციონალის წარმომადგენელთა შეხვედრის მომწყობ კომისიაში ბათუმის პროფ. კავშირთა საბჭომ გაგზავნა დ. ნაკაიძე.

— ფოსტა ტელეგრაფში. ფოსტა ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა სარაიონო, გამგეობამ მუშათა მაგილის დახმარებით გახსნა იაფ-ფასიანი სასადილო სადაც ორი თავი სადილი პურით ღირს 50 მან., სამკითხველო, რომელშიც გამოწერილია ყველა გაზეთები და აგრეთვე მოაწყო საპარიკმახერო, სადაც გაპარსვა ღირს 10 მან.

— ასირიელები ამ დღეებში ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან ბათუმში ჩამოვდენ გამოქცეულნი ასირიელები რომელთაც შემდეგ სამშობლოში გაგზავნიან. საფრანგეთის მისია საბინაო კომისიის სთხოვა ხსენებულ ასირიელებს მსცეს დროებითი თავშესაფარი.

— ბათუმის ქალაქის მილიციის დრ. უფროსი ინანიშვილი მოე-

ლინებულია თფილისის მილიციის უფროსის ვ. სულაქველიძის განკარგულებაში. მის ადგილს მილიციის უფროსის დრ. თ. აღმ. დაინიშნა თბილისის მეორე უბნის კომისარი კორშია.

1 — მისაღები და განმეორებითი გამოცდები ბათუმის ქალაქთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში დაიწყება 15 თებერვლისიდან, ხოლო მეცადინეობა 20 ეკენისთვედგან.

— ბათუმის მუშები. მუშათა მაგილამ აუწყა მომარაგების სამინისტროს რომ ბათუმის მუშათა მაგილამ ყოველდღე უნდა მისცეს სურსათი 10.000 სულ მუშასა და მოსამსახურესა, ამის დასაქმყოფილებლად კი საჭიროა ყოველ დღე უნდა ორასი ფუთი ხორბალი. ერთ თვეში ეს რიცხვი გაიზარდება 12.000-მდე, ასე რომ დღეში საჭირო იქნება 250 ფუთი პური.

— მუშათა მაგილამ შეამდგომლობა აღჭრა მომარაგების სამინისტროს წინაშე, რათა იმ ფურნებს, სადა მუშებისათვის პურს აცხობენ მიეცეს საჭირო მასული და ნავთი.

— პროფ. ტოტომიანცის ლექციები. „ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოება“, პროპერატივის გამგეობა აწყობს საკრებულო დარბაზში ცნობილ კოოპერატორის პროფ. ტოტომიანცის ლექციებს კოოპერატივზე. ლექციებზე ფასი 25 მ. 100 მანეთი.

პირველი ლექცია გაიხარება კვირას 10 სექტემბერს დილის 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე, შემდეგ თემაზე: „ვეროპის და ახლო აღმოსავლეთის მომავალი“, მეორე — სამშაბათს 14 ეკენისთ, საღამოს 7 საათზე — „ვეროპის თანამედროვე მდგომარეობაზე“.

**გათუჩი კოოპერატიული სასწავლებელი.**

ქვეყნის აყვავება - წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალების და მეურნეობის განვითარებას. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ვერ არის მაინც და მაინც კარგ პირობებში: მრეწველობას, ისიც საზოგადოებრივს, ახლა ეყრება საფუძველი, მეურნეობაში არ არის შემოდებული გაუმჯობესებელი იარაღები და ამიტომ მოსავალი იმის მესამედი მოდის, რაც სხვა ქვეყნებში კულტურულ მეურნეობის საშუალებით მოყავთ.

ვაჭრობა-მრეწველობის საქმის მოსაწყობათ არ მოგვეპოვება საკმაო კადრი სპეციალისტთა, როგორც ტექნიკური მომზადების მქონენი ისე კომერციული ცოდნით აღჭურვილნი და იძულებული ვხვებით უცხოელებს მივმართოთ. საზაგიროთ მრავალი მოგვეპოვება საერთო განათლებით აღჭურვილი, არავითარი სპეციალობის არ მქონე პირები, რომლებიც ავსებენ სხვა და სხვა დაწესებულებებს და კანცელარიებს.

სახელმწიფოს სურია მოხელეები, მაგრამ მას სჭირია აგრეთვე ტექნიკოსები, აგრონომები, სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებით და კომერციული ცოდნით აღჭურვილი პირნიც, ურომლისათაც შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის წინსვლა და განვითარება.

დემოკრატიას უნდა ეავდეს თავისი ძალები, რომ შესძლოს თვითონ გაუძღვეს საზოგადოებრივ წარმოებას და სახალხო მეურნეობას და არა საიმედო უცხო პირთ არ მიმართავდეს დახმარება-რჩევისათვის.

სწორეთ ამ მოსაზრებით განათლების სამინისტრო შეუდგა რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებში სხვა და სხვა სასწავლებლების გახს-

ნას, სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ პირთა მოსამზადებლად.

ინსენება სასოფლო-სამეურნეო კურსები, ტექნიკური და კომერციული სასწავლებლები, ისე რომ ბ-6 წლის განმავლობაში ჩვენ საკმაო ძალები გვეყოლება მრეწველობისა და სახალხო მეურნეობისათვის.

ორი ასეთი სასწავლებელი ბათუმშია (ინსენება. 1) ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი კეთდება საშუალო ტექნიკურ სასწავლებლად და 2) ბათუმის ქართულ გიმნაზიასთან ინსენება კომერციული სასწავლებლის პირველი კლასი.

სამუშაოთ ჩვენ საზოგადოებას ჯერ საკმაო ვერ აქვს გათვალისწინებული ჩვენი რესპუბლიკისათვის საკუთარი, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირთა საჭიროება, და უმთავრესად ამ საერთო ცოდნის მიმნიჭებელ სასწავლებლებს ეტანება. გიმნაზიებში აგზავნის თავის შვილებსა ეს ჩემის აზრით იმით აინსენება რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის პროგრამა სპეციალურ სასწავლებლებისა და ის უფლებები, რომელთაც ეს სასწავლებლები ანიჭებს მოზარდ თაობას.

ავიღოთ მაგალითად კომერციული სასწავლებელი. თუ შეადარებთ მისსა და გიმნაზიის პროგრამას, დაინახავთ, რომ კომერც. სასწავლებლის პროგრამა უფრო ფართე და მდიდარია ვიდრე გიმნაზიისა.

მდიდარია იმ მხრივ, რომ იქ მეტი ადგილი აქვს დათმობილი იმ ცოდნის მინიჭებას, რომელიც ასე სჭიროა ყოველ დღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის.

ამ პროგრამით მსმენელმა უნდა გაიაროს პოლიტიკური ეკონომია, კოოპერაცია, კომერციული გეოგრაფია და კიდევ სხვა საგნები, რომლის უცოდინარობა დიდი დანაკლისისა იმითთვის, ვისაც საზოგადოების და ქვეყნის სამსახური სურს.

ამ სასწავლებლის კურს დამთავრებულს, თუ მოისურვებს შეუძლი უმაღლეს სასწავლებელში შევიდეს, ისე რომ ყოველმხრივ უზირატესობით სარგებლობას.

სასწავლო წელი უკვე დაიწყო, საზოგადოება, რომელმაც ჯერ არც კი იცის სასწავლებლის გახსნის ამბავი, მისი პროგრამა და უფლებები, თავის შვილებს გიმნაზიაში აგზავნის.

შესაძლებელია გიმნაზიის მეხუთე კლასები გაივსოს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელ დამთავრებულთაგან, კომერციულ კლასში კი ერთი მოწაფეც არ დაჩქეს.

საჭიროა ამ გარემოების ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, როგორც პედაგოგიურმა საბჭომ ისე მშობელთა წრემ.

საჭიროა მშობელთა საზოგადოკრების მოწვევა, სადაც უნდა ერთიანად მოხდეს, განსაკუთრებით კი იმით, ვისაც საშუალება არა აქვს ხილმოკლეობის გამო, შვილები უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნოს კომერციულ სასწავლებელში მიაბარონ მოსწავლეები.

ჩქარა სწავლა დაიწყება და ეს საქმე დაყოვნებას არ ითხოვს.

ა. ვ.

**საქართველოს ფინანს. და უ. მდგომარეობა.**

ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიური და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება შეადგნა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინ-

ანსიურ ეკონომიურ მდგომარეობა დამოკიდებულია საერთო მიწისზედა, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმთან გამოადინარკობსა საქართველო ცნობილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. საქართველო წარმოების მხრით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ აქ წარმოება განვითარდა, იგი უზრუნველყოფილი იქნება თავისი ნედლი დათობ-მსალითო მაგრამ, მიუხედავად ამისა რუსეთის მთავრობას, თავის ბატონობის დროს, საქართველოს წარმოებისათვის საფუძველიც კი არ ჩაუყრია; რუსეთი ურფო ხელსაყრელად სთვლიდა გავტანა აქედან ნედლი მასალა და შემდეგ გადამუშავებული შემოეტანა იგი უკან. ქართული მატყლი და სხვა ნედლი მასალა გაქონდათ მოსკოვში, აქ ამუშავებდნენ, და შემდეგ შემოქონდათ საქართველოში, ხორბლით სათესი ადგილების სივრცე თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეურნეობას პრიმიტიული ხასითი ჰქონდა. საქართველოს მეურნეობა რომ რაციონალურ ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა რუსეთის ხორბალი. როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი და იგივე პოლიტიკა ტარდებოდა: სურდათ შეექმნათ ფაქტი საქართველოს რუსეთისაგან დამოკიდებულებისა. მაგრამ რუსეთი დაირღვა, შეიქმნა საქართველო, ყოველ მხრივ გარშემოტყმული, რომელსაც ევროპაში არ ქონდა ვასაყალი. საქართველო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, მას არ ქონდა არავითარი მრეწველობა და საფუძველი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის.

ხალხს განსაკუთრებული უნარი უნდა გამოეჩინა, რომ შეექმნა სახელმწიფოებრივი წყობილება და ანარქია აეცილებია თავიდან. ახლა აღმშენებლობით მუშაობის შემდეგ იბადება კითხვა: არის, თუ არა საქართველოში ეკონომიური ნიადაგი სახელმწიფოებრივ წყობილების შესაქმნელად. საქართველოში ეკონომიური ნიადაგი სახელმწიფოებრივ წყობილების შესაქმნელად. საქართველოში ამ კამოდ, უმთავრესად სასოფლო-მეურნეობა, იმამდე თანდათან იზრდებოდა. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1908 წ. 388.718 დესატინა მიწა იყო დათესილი 1912 წ. კი 592.461 დეს. იატინა. შემდეგ უფრო შემოსავლიანმა და ინტენსიურმა კულტურამ, თანდათან განდევნა პრიმიტიული კულტურა. ეს მოვლენა უფრო ნათლად თამბაქოს კულტურას დაეტყო. შემეთამბაქეობა თანდათან სამრეწველო ხასიათს იღებს, საქართველოს ეკონომიური ავლა-დიდება დიდია. მათი ექსპლოატაცია დიდ კაპიტალს და ტექნიკურ ცოდნას მოითხოვს. ამ კამოდ რესპუბლიკის სიმდიდრეს შეადგენს ნედლი და ნახევრად ნედლი მასალა: მარგანეცი, თამბაქო, ტყე, ღვინო, არის ვალიუტა, რომელიც ჩვენს ქალაქის ნიშნებს უზრუნველყოფს. მარგანეცის გარდა, რომელიც 5 მილიარდ ფუთს უდრის საქართველოში დიდ ძალი ჰქვანაშიარი არის ტყავბულის ქვანახშირის რაოდენობა 6 მილიარდს უდრის. ამის გარდა ტყვარჩელის ქვა ნახშირი 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდს ფუთს უდრის ეს ქვანახშირი თავის ღირსებით არ ჩამოუარდება ევროპის საუკეთესო ხარისხის ქვანახშირს. საქართველო მდიდარია აგრეთვე ტყით, რომლის სივრცე 2 მილიონ დესიატინას უდრის. შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება ბიუჯეტის საკითხებს და აღნი-



მან, რომ რესპუბლიკის შემოსავლი ბევრად აღემატება ხარჯ-აღორცილებას. ნაწილობრივ შემოსავლისგან, მარტო ეს გადასახადი მიმდებარეობს აწვევებზე, მცხოვრებთ, მაგრამ მისი წესიერად შემოსავალი რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით, რომ მცხოვრებნი თავის მოვალეობას შეგნებულად შეხვდნენ. ფინანსთა სამინისტრო ახასიათებს რა რესპუბლიკის ბალანსის მდგომარეობას, აღნიშნავს რომ სავაჭრო ბალანსის პასიურობა იწვევს ქვეყნის დიდ დავალიანებას, რომლის გადახდა მას თავის ნდელი მასალით უხდება. მაგრამ სავაჭრო ბალანსის პასიურობა საერთაშორისო მოვლენას: 1919 წ. 9 თვის განმავლობაში შემოსავლი საკონსოლიდირებული გაატანეს 4-ჯერ აღემატებოდა. ინგლისში კი 2-ჯერ, ევროპის სამეურნეო კრიზისი გამოიხატება აგრეთვე საქონლის უქონლობაში, რაც თავის მხრივ იწვევს სპეკულიაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსი მოეწევა იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგდება ნდელი მასალის ექსპორტი. მთავარი მიზეზი რომელიც აწვევს და საქართველოდან ნდელი მასალის გატანას არის საკუთარ ტრანაჟს უქონლობა. საქართველო მეტად საქირებს დამზადებულ საქონელს. ამან აიძულა მთავრობა განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკა ეწარმოებინა. ქალაქის ფულის ნიშნების ემისია 1920-1921 წლის დამდგამდე უდრის 2.500 მილიონ მან. სულზე მოდის 833 მან. ვალი. სახელმწიფოს სხვა ვალი არ აქვს. დაიწვა საკითხი საზღვარ გარეთიდან მოტანილ საქონელში ანგარიშის გასწორებისა. თხოულობდნენ ვალიუტას ვალიუტას ჩვენს ნდელი მასალა შეადგენდა. ამ ნდელი მასალაზე მავრობამ მონობოლია გამოაცხადა. ამ რიგად ნდელი მასალის მონობოლიამ შექმნა მტკიცე ვალიუტა და ამისთანავე მთავრობამ ექსპორტის განსაზღვრულ გეგმას დაუმორჩილდა. ამის გამო შექმნა ისეთი პირობები, რომ მთავრობა იღებდა საზღვარ გარეთიდან დამზადებულ საქონელს. მონობოლით კი მთავრობამ შეაჩერა ფასების სპეკულიაციური ზრდა. მონობოლიის გატარების დროს მთავრობა საქირად სთვლიდა წერილ მწარმოებლის ინტერესების დაცვასაც. წერილ მწარმოებლებს მეცხვარეებს და მეთამბაქოებს 1920-21 წლის სეზონისათვის მიეცათ სესხი. განსაზღვრულია კიდევ წერილ მწარმოებლებისათვის 5 მილიარდ სესხის მიცემა. ასეთი მიზნებით გარიყული იქნება სპეკულიანტი და წერილი მწარმოებელი ბაზარს შეუძლებელი გაჩვენდა დაუახლოვდება. მცხოვრებლები დარწმუნდნენ, რომ მონობოლია საარგებლოა და მხარსაც უჭერენ მის გატარებას. ამის საუკეთესო დამატკიცებელია მეცხვართა გაერთიანება და მათ მიერ სახელმწიფოებრივ ორგანიზებით უშუალოდ კავშირის დაჭერა, გაერთიანდნენ აგრეთვე წერილი მეთამბაქოები და პლანტატორები მთავრობამ მარგანეცის მონობოლიის ანხორციელებს მწარმოებელთა მონაწილეობით წმინდა მოგება მარგანეცის ექსპორტიდან მიმდინარე წელში 1 მილიარდ მანეთს შეადგენს. სავალიუტო საქონელი მთავრობას თვითონ გააქვს. გატანილია 600.000 ფრანკის ღირებულებული აბრეშუმის პარკი მდებულება ზომები ექსპორტის საერთო მოსაწესრიგებლად და უპირატეს საქირების საქონლის იმპორტის გასაადვილებლად.

სადა. ამისთანავე აკრძალულია ფუნქციონის საგნების შემოსავალი. სულსათსავე შემოსავლის მოსაწესრიგებლად ყოველგვარი საწარმოო, რომელიც კი შემოსავლი იქნება საბაჟო გადასახადთან გაანთავისუფლებენ. გარდა ამისა სურსათ-საწარმოს გატანა რესპუბლიკიდან აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე იმ საქონლის გატანა, რომელიც რესპუბლიკის თვითესაქირება. საქართველოს არა აქვს თავისი მრეწველობა და რადგანაც სოციალურ-რევოლუციური დროს კიდევ არ დამდგარა, ამიტომ იგი არ ავიწროვებს ჩვენში კერძო ინდუსტრიას. მიღებულია ზომები ეროვნულ და უცხო კაპიტალის გამოასყენებლად ევროპა მეტად დაინტერესებულია საქართველოთი: ნდელი მასალის სიმრავლეს, საბოლო მასალის თეთრი ნახშირის წყაროებს და სხვას არ შეუძლიათ არ შემოიყვანოს საქართველოში უცხო კაპიტალი.

**სამხედრო მანუკრისაგან.**

ადგილობრივი პერიოდული გამოცემები სრულებით არ ხელმძღვანელობენ იმ ინსტრუქციით, რომელიც ყოველგვარ სამხედრო ცნობას, სამხედრო ცენზორს უკავშირდება და ხშირად ცნობებს თავსებუნ უცნაურად. წინადადებას ვაძლევ რედაქციებს დღეის ამარიცხვიდან ყოველგვარ სამხედრო ხასიათის ცნობა ყოველ დღე წარუდგინონ სამხედრო ცენზორს რომლის ნებართვით. შემდგომ, მათ ნება ეძლევათ დასტამბონ ესა თუ ის სამხედრო ხასიათის ცნობა.

სამხედრო ცენზორი კაპიტანი დიდიძე.

**მუშათა ცხოვრება.**

ბათუმის პროფ. კავშირთა საბჭოში. კვირას 5 სექტემბერს მუშათა სახლეში შესდგა ბათუმის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა. გასარჩევი იყო კითხვები 1) სამანდატო კომისიის არჩევა, 2) დროებითი ბიუროს მოხსენება, 3) მუდმივი პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის არჩევა 4) მიმდინარე კითხვები. კრება გახსნა დროებითი ბიუროს თავმჯდომარემ გრ. აიოლომ. სამანდატო კომისიაში, არჩიეს ამხანაგი შოთაძე, ა. ანდლოლაძე და თ. ჩახვაძე. დრ. ბიუროს სახელით მოხსენება გააკეთა გრ. აიოლომ, რომელმაც აღნიშნა ის მუშაობა, რომელიც დრ. ბიურომ შეასრულა. მიუხედავად სხვა და სხვა ხელისშემშლელ პირობებისა დრ. ბიურომ აღადგინა კავშირები, რომელთა რიცხვი დღეს 27-დგა. შეკავშირა 6000 მდე მუშა, გამოუნახა ბინა პროფ. კავშირებს და ამავე დროს აწარმოებდა ყოველ-დღიურ პროფესიულ მუშაობას, შრომის კომისართან ერთად აგვარებდა მრავალ კონფლიქტებს, რომელსაც ადგილი ქონდა დამპირავებელთა და დაპირავებულთა შორის. გრ. აიოლომ თავის მოხსენებაში შეეხა აგრეთვე იმ კითხვებს, რომელიც ახლო მომავალში გადაჭრას მოითხოვს—ეს არის პირველ ყოველი-

სა სიძვირე, რომელთან საბრძოლველად ორი გზა არსებობს—1) ჯამაგირის რაოდენობის შეჭანტურობად გადიდება, 2) მუშა-მოსამსახურეთათვის სურსათ-საწარმოს თავ-დასჯებში მიწოდება.

მეორე მიუცილებელი საკითხი პროფ. მოძრაობის გაძლიერებაა, იმ გზით, რომელიც საქართველოს მუშათა კლასში აირჩია.

ეს გზა ძირითად-ფუნქციონით ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც ძველი სიბჭო ატარებდა და რომელმაც მუშები შეკავშირების მაგიერ დაქაჟა.

მ. ვოლკოვა მოინდომა საბჭოს ძველი შემადგენლობის დაცვა, მაგრამ ამხ. ა. წულაძემ ღირსეული პასუხი გასცა. ა. წულაძემ განაცხადა რომ მარტო მიღებულ ქალაქის ფულის რაოდენობით არ შეიძლება შედარებული იქნას მუშათა მდგომარეობა.

კამათის დამთავრების შემდეგ კრება იწონებს დროებითი ბიუროს მოქმედებას და გადადის შორეულ საკითხზე.

რიგს ვარეშე სიტყვა ეძლევა შრომის მინისტრის ამხანაგს ა. ბახტაძეს, რომელიც მიესალმება განახლებულ საბჭოს მთავრობისა და შრომის სამინისტროს სახელით.

თავის სიტყვაში ა. ბახტაძე აღნიშნავს, რომ გამარჯვება სოციალიზმისათვის ბრძოლაში შესაძლებელია თუ მუშათა კლასის რაზმი მთლიანია, მაგრამ ბათუმში არ იყო ეს მთლიანობა.

ბათუმის საქართველოსთან შეერთების შემდეგ ამ გარემოებას ბოლო უნდა მოელოს.

ის მძიმე და მწვავე კითხვები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას ერთის დაკრით არ გადაიჭრებიან და სერიოზულობას და წინდახედულობას მოითხოვენ.

სამანდატო კომისია მოახსენებს კრებას, რომ მან და მტკიცა 71 მანდატი 27 კავშირიდან.

ფარული კენჭის ყრით საბჭოს სეკრეტარიატში არჩეულია 9 კაცი.

- 1. გ. აიოლო (თავმჯდომარე),
- 2. დ. ნაკაიძე (თავმჯდომ. ამხანაგი),
- 3. ბ. კორნევი (მდივანი); 4. ტ. მელქაძე; 5. ვ. ინწკირველი; 6. კ. ქელიძე; 7. კანდიდატებათ: 1. დ. შარაშიძე; 2. გ. დლონტი; 3. კ. ბეგეჟკორი; 4. 5. სულაზგრიძე.

სარევიზიო კომისიაში: 1) დლოძე; 2. თ. ჩახვაძე; 3. ვ. კობალაძე; 4. დანელია და 5. ბიგდაი.

- მომრიგებელ კამერაში: 1. ნ. გოცირიძე; 2. თიბერი; 3. ხურთველი; 4. ჯაში; 5. მ. ინწკირველი; 6. ჯორბენაძე; 7. გ. დლონტი; 8. ვ. კობალაძე; 9. თოქიკაშვილი; 10. ლ. გოფმანი; 11. დ. ნაკაიძე; 12. ბიგ აი; 13. თ. ჩახვაძე; 14. ხომერიკი; 15. ბ. კორნევი.

შრომის კომისიის მოხსენება.

შრომის კომისიის რევიზიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. წულაძე, რომელმაც განაცხადა, რომ უფრო ვრცელ ანგარიშს წარმოადგენს შემდეგ კრებისათვის. ამ კრებაზე კი მოკლედ შეეხა კომისიის რევიზიის მუშაობას.

კომისიის რევიზიის მუშაობის დიდი ნაწილი სხვა და სხვა წარმოებათა ლიკვიდაციას და ამისთან დაკავშირებულ კონფლიქტებს უნდებოდა.

მოწყობილია საავადმყოფო კასა, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყებს მოქმედებას. მუშათა მაგიდამაც დაამთავრა წინასწარი მუშაობა და ახლო მომავალ-

ში შეუდგება მუშა-მოსამსახურეთათვის თავ-დასჯებში სურსათ-საწარმოს მიწოდებას. მოწყობილია აგრეთვე თავ-დასჯის სასადილოები.

ა. წულაძის მოხსენება საბჭომ მიიღო ცნობათ.

**აღმოსავლეთის ხალხთა უკრძობა.**

ბათუმის მიღებულ ცნობებით ბაქოს აღმოსავლეთის ხალხთა უკრძობა, ტლანქი ინსტენიროვკა და აღმოსავლეთის ხალხთა ნამდვილი ნების უზურბაცია არის. კომუნისტური ცნობებით უკრძობაზე ჩამოვიდა 1800 დელეგატი. მაგრამ ამ დელეგატებისათვის არასდროს და არავის არ დაუვალეობათ ელაპარაკნათ იმ ხალხთა სახელით, რომლის სახელითაც ბაქოს უკრძობაზე გამოდიან.

ბაქოს პოლიტიკურ მისიებში იმ უკრძობას აღმოსავლეთის ხალხთა საზოგადოებრივი აზრის ფაქტორიკითათ თვლიან და მიზნით აქვს არა კომუნისტური იდეების განმტკიცება აღმოსავლეთში, არამედ ერთ გვარი ეფექტის მოხდენა, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული და ოსმალეთის სასარგებლო დემონსტრაციის ხასიათი აქვს.

ბაქოში სხვათა შორის დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ის გარემოება რომ ბაქოს შორეულსათვის, დელეგატების ჩამოსვლის დღეს ვაღებულები იყო ორასი მილიონი მანეთი, იმ დროს როცა მუშები სიმშობობენ და ჯამაგირი შეკვეცილი აქვთ.

მწვანეულობის გირლიანდებით მორთული არკები, ელექტრონები, რომლითაც გაჩირაღდებულია ბაქო ღამით, აღმოსავლეთის დღესასწაულების დროს, ახდენს თავბრუ-დამხვევ და იმავე დროს საშინელ შთაბეჭდილებას და სიმბოლურად გამოატავს საბჭოთა პოლიტიკის უიმედო შინაარსს.

**ახალი ტარიფი.**

21 მარტომბისთვიდან დაწესდა შემდეგი ტარიფი საქართველოს რკინის გზებზე:

**ტფილისიდან.**

ბილეთის ფასი მან. ბარგი

სადგური. 1 კ 3 კ. ფუთზე				
მცხეთა . . . . .	75	45	30	10
ვარი . . . . .	270	165	110	25
ხაშური . . . . .	420	255	170	40
ბორჯომ-პარკი . . . . .	535	320	215	50
ბაკურიანი . . . . .	660	395	265	65
შორაპანი . . . . .	620	375	250	60
ქუთაისი . . . . .	720	435	290	75
სამტრედია . . . . .	775	465	310	30
ფოთი . . . . .	925	555	370	105
ბათუმი . . . . .	1075	645	430	115
სალოლი . . . . .	285	170	115	25
სანაინი . . . . .	440	265	180	45
ავჯალა . . . . .	40	25	15	5

შენიშვნა 1) საბავშვო ბილეთები (5—10 წლამდე) უდრის ერთ

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.